

- ▶ იყოს ნოტარიულად დამოწმებული;
- ▶ იყოს ერთჯერადი;
- ▶ დოკუმენტში აღინიშნოს ის ცალკეული ქვეყანა ან ქვეყნები, სადაც ბავშვი მიემგზავრება;
- ▶ დოკუმენტში აღინიშნოს არასრულწლოვნის საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდი;
- ▶ დოკუმენტში მიეთითოს ინფორმაცია არასრულწლოვნის მოგზაურობის მიზნის შესახებ.

გახსოვდეთ: ჩვეული საცხოვრებელი ადგილიდან უცხო სახელმწიფოში, არასრულწლოვნისთვის განსხვავებულ სოციალურ, სამართლებრივ, კულტურულ ან/და ენობრივ გარემოში მეურვეობის უფლების მქონე პირის თანხმობის გარეშე ბავშვის წაყვანისას მნიშვნელოვანი ზიანი ადგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, მათ შორის, მის ფსიქო-ემოციურ სტაბილურობასა და განვითარებას.

ბროშურა გამოიცა ევროკავშირის პროექტის – „კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ – მხარდაჭერით, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა – „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“ – ახორციელებს. ტექსტში მოცემული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკომისიის შეხედულებას.

**საინფორმაციო ბროშურა
ბავშვთა საერთაშორისო
არამართლგოშიერი
გადაადგილების,
დაკავებისა და
არასრულწლოვანთან
ურთიერთობის უფლების
განხორციელების საკითხებთან
დაკავშირებით**

**დაამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
საერთაშორისო საჯარო სამართლის
დეპარტამენტს**

ელექტრონული ფოსტა: Intlawdep@justice.gov.ge
ან

info@justice.gov.ge

ტელეფონი: + 995 32 2 40 57 68

ფაქსი: + 995 32 2 40 52 04

ვებ-გვერდი: <http://justice.gov.ge/ministry/Department/302>



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU-Kooperation: მართლმართლის რეფორმის
მხარდაჭერა



რა არის ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილება და ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი დაკავება?

ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილება და დაკავება გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც არასრულწლოვანი მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოდან გაჰყავთ სხვა ქვეყანაში ერთი ან ორივე მშობლის ან მეურვეობის უფლების მქონე სხვა პირის

- ▶ თანხმობის გარეშე; ან
- ▶ გარკვეული დროით თანხმობით და ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ბავშვს არ აბრუნებენ უკან.

როგორია საერთაშორისო დოკუმენტი არამართლზომიერი გადაადგილების, დაკავებისა და ურთიერთობის უფლების განხორციელების საკითხებს?

ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების, დაკავებისა და ბავშვთან ურთიერთობის უფლების განხორციელების საკითხებს არეგულირებს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენცია (შემდგომში – „ჰააგის კონვენცია“), რომელიც მიზნად ისახავს:

- ▶ არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული არასრულწლოვნის იმ ქვეყანაში დაბრუნების უზრუნველყოფას, რომელშიც იგი ცხოვრობდა;
- ▶ არასრულწლოვანთან ურთიერთობის განხორციელების უზრუნველყოფას, მაშინ, როდესაც ბავშვი და მშობელი ან ურთიერთობის უფლების მქონე სხვა პირი სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ.

არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის დაბრუნების ან არასრულწლოვანთან ურთიერთობის უფლების განხორციელების მეთოდებით, თქვენ შეგიძლიათ განხილავთ მიმართოთ:

- ▶ იმ ქვეყნის ცენტრალურ ორგანოს, რომელშიც ბავშვი ცხოვრობდა;
- ▶ იმ ქვეყნის ცენტრალურ ორგანოს, სადაც ამჟამად იმყოფება ბავშვი;
- ▶ იმ ქვეყნის სასამართლოს, სადაც ამჟამად იმყოფება ბავშვი, იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს აღნიშნული ქვეყნის შიდა კანონმდებლობა.


გაითვალისწინეთ: ჰააგის კონვენციის აქვს გარკვეული წინაპირობები, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ დაიწყოს საქმისწარმოება ბავშვის დაბრუნების ან ურთიერთობის უფლების განხორციელების მიზნით. აღნიშნული წინაპირობების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საქართველოს ცენტრალურ ორგანოს.

რა ძირითადი ფუნქციები აკისრია საქართველოს ცენტრალურ ორგანოს?

ჰააგის კონვენციის მიზნებისათვის, საქართველოს ცენტრალური ორგანოს ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი. საქართველოს ცენტრალური ორგანო:

- ▶ იღებს და შესაბამის ორგანოებში გზავნის განცხადებას;
- ▶ თანამშრომლობს სხვა ქვეყნების ცენტრალურ ორგანოებთან და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ცვლის ინფორმაციას;
- ▶ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით თანამშრომლობს საქართველოს შესაბამის ორგანოებთან;
- ▶ ჰააგის კონვენციისა და შიდა კანონმდებლობის მოქმედების თაობაზე მოქალაქეებს უწევს კონსულტაციას.

რა სახის პროცედურებს ითვალისწინებს ჰააგის კონვენცია ბავშვის დაბრუნების ან მასთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად?



განცხადების წარდგენამდე დეტალური ინფორმაციისა და სახელმწიფოებში საქმისწარმოების პროცედურების თაობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით დაუკავშირდით საქართველოს ცენტრალურ ორგანოს.

გაითვალისწინეთ: არასრულწლოვნის არამართლზომიერი გადაადგილებიდან ან დაკავებიდან ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ბავშვის დაბრუნებაზე უარის თქმის რისკები იზრდება.

რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოდგინოს საქართველოს ცენტრალურ ორგანოს ჰააგის კონვენციის საფუძველზე პროცედურების დასასრულებლად?

- ▶ განაცხადის სპეციალური ფორმა ქართულ და ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.justice.gov.ge;
- ▶ ბავშვის ამჟამინდელი სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს მიმართ გაცემული რწმუნებულება, რითაც მას უფლება მიეცემა, იმოქმედოს განმცხადებლის სახელით;
- ▶ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელი ადგილი იყო ის სახელმწიფო, რომელში დაბრუნებასაც ითხოვს განმცხადებელი;
- ▶ ბავშვის ფოტოსურათები.

გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს იმ ქვეყნის ოფიციალურ ენაზე, სადაც ბავშვი ცხოვრობდა და თან ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი არასრულწლოვნის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, ან, როდესაც ეს შეუძლებელია, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე.

იქიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა ნაწილი უარს ამბობს კონკრეტულ ენაზე შევსებული დოკუმენტაციის მიღებაზე, მათ თარგმნამდე, ინფორმაციის მიღების მიზნით დაუკავშირდით ცენტრალურ ორგანოს.

არასრულწლოვნის არამართლზომიერი დაკავების ალბათობის შემცირების მიზნით, მიზანშეწონილია, რომ ბავშვის საქართველოდან საზღვარგარეთ წაყვანისას თქვენ მიერ გაცემული თანხმობა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: